

თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-პანსიონი „კომაროვი“

საღამოს სკოლა

2023

„სადამოს სკოლა“

1. მიზანი:

- 1.1 პროექტში მონაწილე მოსწავლეებს შეასწავლოს მათემატიკისა და ფიზიკის გაღრმავებული პროგრამა;
- 1.2 შეაყვაროს მოსწავლეებს მათემატიკა და ფიზიკა;
- 1.3 შეაყვაროს მოსწავლეებს სწავლა, გამოუმუშაოს შრომის უნარი და შრომისადმი სიყვარული;
- 1.4 გაუღვივოს მოსწავლეებს შეჯიბრებებისადმი ინტერესი;
- 1.5 გაუღრმავოს მოსწავლეებს გუნდური მუშაობის უნარები.

2. პროექტში მონაწილე პირები

- 2.1 პროექტში მონაწილეობენ მათემატიკის შეწავლით დაინტერესებული ის მოსწავლეები, რომლებიც არ ირიცხებიან სსიპ ვლადიმერ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის მოსწავლეთა სიაში;
- 2.2 პროექტში მონაწილეობენ სსიპ ვლადიმერ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები, წრის ხელმძღვანელები და მოწვეული პედაგოგები.
- 2.3 მშობელსა და სკოლას შორის ხელშეკრულება ფორმდება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით;
- 2.4 მოსწავლის გაკვეთილებზე სიარული ავტომატურად ნიშნავს ხელშეკრულების ძალაში შესვლას;

3. პროგრამა

3.1. „სადამოს სკოლის“ ფარგლებში სწავლა ხორციელდება:

- მე-7, მე-8, მე-9 კლასებში მათემატიკისა და ფიზიკის პროგრამები ემთხვევა კომაროვის სკოლის შესაბამის პროგრამებს.

3.2. სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით, მსურველების არსებობის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს სწავლება კომაროვის სკოლის მე-10 კლასის პროგრამით მე-10 კლასელებისთვის.

3.3. სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით, მსურველების არსებობის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს სწავლება პრე-აბიტურის პროგრამით მე-10 და მე-11 კლასელთათვის.

4. „სადამოს სკოლაში“ მოსწავლის მიღება:

3.1. სადამოს სკოლის მე-7 კლასში გასაუბრების გარეშე ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებმაც ერთ-ერთ წერაზე (2023 წლის მე-7 კლასის მისაღები გამოცდა ან 2023 წლის შაბათის სკოლის მე-3 მოდულის შემაჯამებელი წერა) მიიღეს 26 ქულა ან მეტი. ნებისმიერი სხვა მსურველისთვის ჩატარდება ტესტირება ან გასაუბრება.

3.2. მე-8 კლასში გასაუბრების გარეშე ჩაირიცხება ის მოსწავლე, რომელიც 2022-23 სასწავლო წელს სწავლობდა კომაროვის სკოლაში ან 2023 წლის მისაღებ გამოცდაზე დააგროვა 34 ან მეტი ქულა. ყველა სხვა მსურველისთვის ჩატარდება ტესტირება ან გასაუბრება.

3.3. მე-9 კლასში გასაუბრების გარეშე ჩაირიცხება ის მოსწავლე, რომელიც 2022-23 სასწავლო წელს სწავლობდა კომაროვის სკოლაში ან 2023 წლის მისაღებ გამოცდაზე დააგროვა 34 ქულა ან მეტი ქულა. ყველა სხვა მსურველისთვის ჩატარდება ტესტირება ან გასაუბრება.

3.4. პრე-აბიტურის ან მე-10 კლასში გასაუბრების გარეშე ჩაირიცხება ის მოსწავლე, რომელიც რომელიც სწავლობდა ან კომაროვის სკოლაში, ან სადამოს სკოლაში. სხვა მსურველებისთვის ჩატარდება ტესტირება ან გასაუბრება.

4. მიზნის მიღწევის მეთოდური საშუალებები:

- 4.1. “სადამოს სკოლა” მოსწავლეებს სთავაზობს სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში (შემდგომში „სკოლა“) მოქმედ მათემატიკისა და ფიზიკის კურსს, პრეაბიტურის კლასში სპეციალურად შემუშავებულ პროგრამას.
- 4.2. თემატური კალენდარული გეგმა წინასწარ იქნება მოსწავლეთათვის ცნობილი.
- 4.3. მოსწავლეთა საშინაო დავალების შემოწმება და შეფასება ხორციელდება უფლებამოსილი პირის დადგენილი წესით.
- 4.4. დამოუკიდებელი სამუშაოები და საკონტროლოები ჩატარდება გავლილი თემების შესაბამისად.

5. მიზნის მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს:

- 5.1. ერთ სასწავლო ჯგუფში ირიცხებოდეს არაუმეტეს 16 მოსწავლისა.
- 5.2. პრე-აბიტურის ჯგუფში ჯგუფში ირიცხებოდეს არაუმეტეს 10 მოსწავლისა.
- 5.3. სწავლების მაღალ ხარისხს „სადამოს სკოლის“ გაკვეთილებზე;
- 5.4. დისციპლინას „სადამოს სკოლის“ გაკვეთილებზე და დასვენებაზე;
- 5.5. სწავლებას უზრუნველყოფდნენ სსიპ ვლადიმირ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები, წრის ხელმძღვანელები და მოწვეული პედაგოგები;
- 5.6. სწავლების პროცესში კომაროვის სკოლაში წლების მანძილზე დანერგილი და ადაპტირებული ტექნოლოგიებისა და ლიტერატურის გამოყენებას.
- 5.7. მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ მშობლებისადმი ინტენსიური ინფორმაციის მიწოდებას მშობლისათვის სასურველი ფორმით (ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი, სოციალური ქსელი).
- 5.8. წლის განმავლობაში მათემატიკაში მინიმუმ 5 და ფიზიკაში მინიმუმ 4 საკონტროლო წერის ჩატარებას.
- 5.9. წლის განმავლობაში ერთხელ ჩატარდეს სადამოს სკოლის გუნდური ჩემპიონატი „კომაროვის მათემატიკის ფესტივალის“ ფორმატით. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან.

6. მიზნის მისაღწევად მშობელი უზრუნველყოფს:

- 6.1. მოსწავლის დრულად და მოცემული გრაფიკით გამოცხადებას სკოლაში;
- 6.2. მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე შესაბამისი რეაგირების მოხდენას;
- 6.3. მომსახურების საფასურის გადახდას ხელშეკრულებაში მითითებული გრაფიკის მიხედვით;
- 6.4. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის აღჭურვას სასწავლო პროცესში ჩართვისათვის საჭირო რესურსებით.

7. მოსალოდნელი შედეგები:

- 7.1. მოსწავლეებს გაუღვივდებათ მათემატიკისა და ფიზიკის სიყვარული;
- 7.2. მოსწავლეებს შეექმნებათ მომდევნო კლასში მათემატიკისა ან/და ფიზიკის გარღმავებული სწავლებისათვის საჭირო ბაზა;
- 7.3. გაიზრდება მოსწავლის აკადემიური შედეგები.

8. მომსახურების ღირებულება და პროექტის განხორციელების ადგილი:

- 8.1. სწავლება განხორციელდება სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში (მის. ვაჟა-ფშაველას N49);
- 8.2. 2023-2024 სასწავლო წელს, პროექტის ფარგლებში შეიძლება გაიხსნას ონლაინ ჯგუფი/ჯგუფები მოთხოვნის შესაბამისად.
- 8.3. მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში მათემატიკის სრული კურსის ღირებულება შეადგენს :

- იმ მოსწავლეებისათვის, რომლებმაც დაასრულეს 2022-23 სასწავლო წლის სადამოს კურსი მათემატიკაში-იგივე, რაც წინა სასწავლო წელს.
- იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც სწავლობდნენ 2022-23 სასწავლო წელს ან კომაროვის ან შაბათის სკოლაში -1600 ლარს.
- დანარჩენებისათვის-1800 ლარს.

8.4. პრე-აბიტურის პროგრამაზე სრული კურსის ღირებულება შეადგენს 2500 ლარს.

8.5. ფიზიკის კურსის ღირებულება მე-7 კლასელთათვის შეადგენს 540 ლარს, მე-8 და მე-9 კლასელთათვის-720 ლარს;

8.6. მშობლის მიერ კურსის თანხის გადახდა ხდება სამ ეტაპად:

- პირველი ეტაპი: არაუგვიანეს 2023 წლის 24 სექტემბრისა – სრული კურსის მესამედი;
- მეორე ეტაპი: არაუგვიანეს 2024 წლის 10 იანვრისა – მეორე მესამედი;
- მესამე ეტაპი: არაუგვიანეს 2024 წლის 10 აპრილისა-დარჩენილი მესამედი;

8.7. თუ სადამოს სკოლაში მათემატიკის პროგრამაზე სწავლობს 2 ან მეტი და-ძმა, ყოველ მომდევნო დედმამისშვილზე გადასახადი შეადგენს 1200 ლარს; ფიზიკის პროგრამაზე -500 ლარს;

8.8. თუ მოსწავლე შეწყვეტს პროექტში მონაწილეობას და მშობელი ხელშეკრულების მოშლის შესახებ წერილობით აცნობებს დირექციას, ან დისციპლინის უხეში დარღვევისთვის სკოლა ამორიცხავს მოსწავლეს, ამ შემთხვევაში სკოლა დაიტოვებს მშობლის მიერ გადახდილი თანხის ნაწილს, ხოლო მშობელს მის მიერ მითითებულ ანგარიშზე დაუბრუნდება თანხა პროპორციულად, ჩატარებული გაკვეთილების გათვალისწინებით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 სკოლა უფლებამოსილია, შეწყვიტოს ხელშეკრულება ან შეზღუდოს სკოლის მიერ გასაწევი მომსახურების მიწოდება, თუ:

- ა) მშობელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება
- ბ) მოსწავლემ უხეშად დაარღვია სკოლის შინაგანაწესი, ან სკოლის პროექტების მარეგლამენტირებელი სხვა ნორმა ან მისი ქცევა ხელს შეუშლის სხვა მოსწავლეების სწავლას;
- გ) დასრულდა სასწავლო წელი;

9.2 თუ მოსწავლემ პირველ სემესტრში ჩატარებულ საკონტროლო წერებზე მიიღო არაადამაკმაყოფილებელი შეფასება, მშობელს მიეცემა რეკომენდაცია ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

9.3 გამონაკლისს გადახდის გრაფიკსა და წესში იღებს სკოლის დირექტორი.

10 კურსის ქრონოლოგია

10.1. კურსის ხანგრძლივობა 2023 წლის 22 სექტემბრიდან -2024 წლის 21 ივნისამდე.

10.2. არდადეგები ემთხვევა საჯარო სკოლაში მოქმედ არდადეგების გრაფიკს.

10.3 მათემატიკის მეცადინეობები ჩატარდება კვირაში სამჯერ, ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს. დღეში სამი აკადემიური გაკვეთილი. გაკვეთილის ხანგრძლივობა 45 წთ. 15.30 საათიდან - 18.00 საათამდე. კვირეული დატვირთვა 9 აკადემიური საათი; პრე-აბიტურის კლასში -10 აკადემიური საათი.

10.4 მე-7 კლასში ფიზიკის მეცადინეობები ჩატარდება კვირაში ერთხელ სამი აკადემიური საათი.

10.5 მე-8 კლასში ფიზიკის მეცადინეობები ჩატარდება კვირაში ორჯერ, დღეში 2 აკადემიური საათი (სულ 4 აკადემიური საათი კვირაში).

10.6 მშობლებთან შეთანხმებით, კონკრეტული ჯგუფისთვის შესაძლებელია ცხრილის შეცვლა.

10.7 ფიზიკის ჯგუფის კალენდარს ადგენს “სადამოს სკოლის” სამსახურის უფროსი.

10.8 შეცვლილ კალენდარს ადგენს სადამოს სკოლის სამსახურის უფროსი.

10.9 პროექტის „სადამოს სკოლა“ წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

10.8 სერტიფიკატების გაცემის წესი განისაზღვრება სკოლის დირექტორის მიერ.

11.. სკოლაში მიღება:

- 11.1. სადამოს სკოლის მოსწავლეებისთვის, ცალკე, კომაროვის სკოლაში მისაღები კონკურსი არ ჩატარდება.
- 11.2. სადამოს სკოლის მოსწავლეებმა, ისევე როგორც სხვა მსურველებმა, კომაროვის სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად უნდა ჩააბარონ სკოლაში მისაღები გამოცდები (მე-12 კლასში მისაღები გამოცდა არ ტარდება)

12. დამატებითი დებულება

იმ შემთხვევაში, თუ 2023-2024 სასწავლო წლისთვის, COVID-19-თან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის ან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით ან რეკომენდაციების შესაბამისად, სასწავლო პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში წარიმართება დისტანციურად, იმავე ვადით, პროექტშიც სასწავლო პროცესი განხორციელდება დისტანციურად.